ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 433

„27“ დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მინდელის ქ. №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.14.05.005.058) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 15 დეკემბრის №60 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 26 დეკემბრის №04/20757 წერილის (AR1463780) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მინდელის ქ. №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.14.05.005.058) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1463780 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

# უფლებრივი ზონირების რუკა

| სექტორის ფართობი | სექტორი № | ქვე-ზონა | კ1 | კ1 | კ2 | კ2 | კ3 | კ3 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1677.9 | 1 სექტორი | სსზ-1 | 600 | 0.4 | 6480 | 3.9 | 300 | 0.2 |
| 1979.3 | 2 სექტორი | სსზ-1 | 600 | 0.3 | 9180 | 4.6 | 600 | 0.3 |
| 1487.1 | 3 სექტორი | სსზ-1 | 600 | 0.4 | 7560 | 5.1 | 200 | 0.1 |
| 3358.7 | 4 სექტორი | სსზ-1 | 1200 | 0.4 | 16740 | 5.0 | 930 | 0.3 |
| 2184.9 | 5 სექტორი | სსზ-1 | 600 | 0.3 | 8100 | 3.7 | 500 | 0.2 |
| 10687.9 | | | 3600 | 0.3 | 48060 | 4.5 | 2530 | 0.2 |

კომერციული ნაწილის კ2 საანგარიშო ფართობი - 4500
საცხოვრებელი ნაწილის კ2 საანგარიშო ფართობი - 43560




საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1):
ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობები:
- პარკი; ბაღი; სკვერი; ბულვარი;
- საბავშვო მოედანი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები;
- პოლიკლინიკა; ამბულატორია; აფთიაქი;
- კლუბი; კინოთეატრი; თეატრი;
- მრეწველი საქონლის მაღაზია; სასურსათო მაღაზია;
- უნივერსალური მაღაზია და სავაჭრო ცენტრი;
- ბარი; კაფე;
- რესტორანი; სწრაფი კვების ობიექტი;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
- ბანკის ფილიალი, განყოფილება; ბანკი;
- მართვის დაწესებულება და ორგანიზაცია; ოფისი; სანოტარო ბიურო;
- სასტუმრო;
- ინდივიდუალური ან/და საერთო სარგებლობის ავტოსადგომი;
- საცურაო აუზი; სპორტული მოედანი;
- სავაჭრო ცენტრი;
- კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტები;
- დეკორატიული გაფორმების ობიექტი;
- მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანჩატური, პერგოლა, ურნა, ტრელაჟი, საბავშვო მოედანი, შადრევანი, დეკორატიული აუზი, წყლის სასმელი შადრევანი, კასკადი, არხი, ღია კიბე და პანდუსი, საყრდენი კედელი და სხვა;
- სპორტული შენობა-ნაგებობა;
- ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი ობიექტები;